

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი N10

ქ.თბილისი

14 ივლისი, 2023წ

ესწრებოდნენ:

თორნიკე მიგინეიშვილი - „ტელეკომპანია პირველის“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველის“ მულტიმედია არხების ხელმძღვანელი
ლევან კირკვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი

დღის წესრიგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, პაპუნა ლეჟავას საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

თორნიკე მიგინეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების კომისიაში შემოსული საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის საჩივარი (N2-14/1980), რომელიც ეხება 2023 წლის 12 ივნისს ტელეკომპანია პირველის ეთერში გასულ სიუჟეტს სახელწოდებით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე. აღნიშნული საჩივარი საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, „ტელეკომპანია პირველის“ დირექტორის, ვახტანგ წერეთლის მიერ, განსახილველად გადაეცა თვითრეგულირების კომისიას.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს მასალები, თუმცა კომპანიაში უფლებამოსილმა პირმა განაცხადა, რომ საარქივო მასალის დიდი მოცულობისა და მეხსიერების ბარათის მცირე რაოდენობის გამო, არქივში არ ინახებოდა სადავო მასალის დაუმუშავებელი/სრული სახე. დეტალურად განიხილეს საჩივარში მითითებული სიუჟეტი და შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები.

საჩივრის ავტორი უთითებს რომ 2023 წლის 12 ივნისს „ტელეკომპანია პირველის“ ეთერში საინფორმაციო გამოშვებაში „პირველები“ გავიდა სიუჟეტი, სადაც ჟურნალისტის განცხადება შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტებს საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მისამართით. მომჩივანი მიუთითებს რომ მოხდა საზოგადოებისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს საქართველოს ეროვნული ბანკის სახელი და სანდოობის ხარისხი საზოგადოებაში.

თვითრეგულირების კომისიის წევრებმა შეისწავლეს საჩივარში მითითებული საფუძვლები და პასუხისმგებელი პირების განმარტებით დადგინდა, რომ ეთერში ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე განხორციელდა რესპონდენტის საუბრის არასწორი ციტირება ჟურნალისტის მიერ. კომისია მიიჩნევს, რომ ჟურნალისტი საუბრისას ცდილობდა ინტერპრეტირება მოეხდინა

რეპოდენტის საუბრის, თუმცა გამოთქმული სიტყვებისა და მინაარსის მიხედვით, არსებობს რისკი იმისა, რომ საზოგადოებისათვის ჟურნალისტის საუბარი აღქმულიყო როგორც ციტირება იმ სიტყვებისა და ფაქტების, რომელიც არ განხორციელებულა რესპონდენტთან საუბრისას.

თვითრეგულირების კომისია მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ჟურნალისტი იმყოფებოდა პირდაპირ ეთერში, რომლის დროსაც რთულია ყველა სიტყვის ზუსტად განსაზღვრა და აზრის ზედმიწევნით კონტროლი. ჟურნალისტი ცდილობდა რომ დამაჯერებლად და ამომწურავად გადმოეცა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ინტერვიუ ხალხისათვის, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მეცდომას ფაქტში.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, თვითრეგულირების კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
2. დაევალოს „ტელეკომპანია პირველს“ უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის შესწორებული სახით გავრცელება თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით.

თორნიკე მიგინიშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე



Handwritten signatures of the commission members over horizontal lines.